

1
1962



1962
ქართული
ბიზნეს-პრესა

№ 24

თბილისი დეკემბერი

ნაწი

გამოცემის 80-40 წელი, ფასი 20 კპვ.

1962

მინც კოსმოსს მისწვდა გონების ხელით,
რომ სთქვას დიდება საზოგადოება ხალხის;
მოღის დიადი ახალი წელი,
მასხაროველი მრავალი ახლის.

ერთხელ, სამსახურში, შესვენების დროს, როდესაც ჩემმა ლაზიერმა რამდენიმე უჯრით წინ გადაინაცვლა, რის შედეგადაც ჩემი მგებობისა და მოწინააღმდეგის, ძია მოსეს მეფეს გასაქცევი გზა აღარ პქონდა, მან გამომწვევად დამიდო წინ სუფთა ქაღალდი, ერთიც, თვითონ აიღო ხელში, კალამი მომარჯვა და არანაკლებ გამომწვევად მითხრა:

— ხუთი წუთის განმავლობაში დედაქალაქის გამორჩენილი ადამიანების გვარებს ვინ მეტს ჩამოსწერს?

დროის დაუპარგავად შევუდექი წერას და ხუთი წუთის შემდეგ მოსეს შევეკითხე:

— რამდენი ჩამოსწერე?

— თოთხმეტი. შენ?

— ოცდაოთხი, — გუპასუხე და გამარჯვებულის სახით გადავაწოდე ფურცელი.

მისმა სახემ ჯერ დამარცხებულის ნადგელი გამოსატა, რაც შემდეგ გაოცებამ, ხოლო უფრო შემდეგ ირონიულმა დიმილმა შესცვალა.

— თოთხმეტი გვარი ჩემთვის ცნობილია, — მითხრა მან, — მეც იგივენი მიწერია, მაგრამ მეთხუთმეტედან დაიწყოთ, იოსები ვინ არის?

— იოსები არ იცი?

— არ ვიცი.

— იოსებ შალომის-ძე?

— არ გამიგია.

— იოსებ შალომის-ძე მირილაშვილი არ იცი? „გულჩვილი“ იოსები. ისე, გულახდილად უნდა ითქვას, რომ იგი ჩვეულებრივი გამოჩენილი ადამიანი არ არის. იოსები ორიგინალური ჟანრის სახელგანთქმული ადამიანია...

— მაინც რით გაითქვა სახელი?

— სანამ გამოჩენილი ადამიანი გახდებოდა, ძალიან უყვარდა სამრეწველო საქონლის მაღაზიებში სიარული. იდგა, უყურებდა და ხარობდა, როდესაც მომხმარებელი საქონლით დატვირთული გადიოდა მაღაზიიდან.

— შემდეგ?

— შემდეგ შეამჩნია, რომ ზოგიერთი მომხმარებელი ხელცარიელი ბრუნდებოდა, რადგან ხშირად მაღაზიაში ყველა სახის საქონელი არ იყო. აი, მაშინ „აუჩვილდა“ პირველად გული იოსებს. ამ დღიდან მოყოლებული წლებზე ფეხს იდგამდა, ენერგიას არ იშურებდა და ამარაგებდა იგი დედაქალაქის მცხოვრებლებს ნაირ-

ნაირი სამრეწველო საქონლით მერე შენ გგონია დაუფასეს? გასაქანს არ აძლევდნენ, ყოველმხრივ შეზღუდეს, ორჯერ სამჯერ ციხეშიაც გამოამწყვდიეს, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— 27 აგვისტოს მაინც გაუჩინდა მოსკოვში.

— გაფრინდა და მიატოვა უმწეო თბილისელები მაღაზიების ანაბარა, არა? — აღშფოთდა მოსე.

— შენ იოსები მართლა არა გცნობია, 28 აგვისტოს იგი კვლავ ჩამოფრინდა და თვითმფრინავიდან ორი დიდი ჩემოდნით ხელში გადმოვიდა.

— ყოჩაღ, იოსებ, აეროდრომზე არავინ შეხვედრია?

— როგორ არა, ორი უცნობი შეხვდა და სეტყვასავით დააყარეს კითხვები: რა მოგაქვს? ვისია? საიდან მოგაქვს? იოსებს სიხარულისაგან ფერი ეცვალა და უპასუხა: ხალხისაა, ყველასია, თქვენია. გგონია დაუჯერეს? გახსენს ჩემოდნები და შიგ სულ რაღაც 6287 მანეთის ქსოვილები აღმოჩნდა. იოსები სირცხვილისაგან გაწითლდა და ბოდიში მოიხადა, ამჯერად მეტი ვერ მოვახერხე და შემდეგში სამჯერ მეტს წამოვიღებო. ახლა, აღბათ, ცოტას დაასვენებენ.

— გიორგი დოდაშვილზე რაღას იტყვი?

— გიორგი ალექსანდრეს-ძე დოდაშვილს (იგივე დავითაშვილი) ერთხელ ქორთვა კიტრისა და პამიდორის ჭამისას ერთმა მეტად ნაღვლიანმა ფიქრმა გაურბინა თავში.

— ახლა მე აქ ვზივარ და ამ შესანიშნავ ჩვენებურ ბოსტნეულს შევექცევი, მაგრამ მოსკოვისა და ლენინგრადის მოსახლეობამ რაღა დააშავა, მოდი იმათაც წავუღებო.

— წაუღო? არ დაეზარა?

— დაუყოვნებლივ გააქროლა 370 კილოგრამი ხილ-ბოსტნეული ლენინგრადში, მაგრამ ცუდად გაუგეს, დააკავეს. სხვა დროს მოსკოვსაც ესტუმრა და იქაც დააკავეს. ეწყინა დოდაშვილს, ვერ აიტანა შეურაცხყოფა, სულმოკლეობა გამოიჩინა და შეწყვიტა მოსკოვისა და ლენინგრადის მომარაგება. იფიქრა ისევ ჩემ ხალხს მოვემსახურებო და დაიწყო ციტრუსებით გაჭრობა. არც აქ მისცეს გასაქანი გულქვა ადამიანებმა, პირველი მაისის სახელობის რაიონის ბაზარზე შეაწყვეტინეს მოღვაწეობა.

— იური არუთინოვმა რიდათი გამოიჩინა თავი?

— იური ერთხელ ხელოსანს წააწყდა, რომელიც ავტომანქანა „ვოლგის“ დისკებს ამზადებდა და ყიღდა.

— მართო აქ ყიდი? — შეგებითა იური.

— სხვაგან სად წავიღო?

— უთხრა ხელოსანმა.

— შენ თუ არ იცი, სად უნდა წავიღო, მაშინ მე ვიცი, — უპასუხა იურიმ, შეიძინა მისგან რამდენიმე კომპლექტი თითო 15 მანეთად და ნოქტომბერს სოხუმში გაემგზავრა. როგორ გაესარდებოდა სოხუმელებს,

— ფიქრობდა გზაში, — როდესაც სულ იაფად, რაღაც 40 მანეთად მიეყიდა ერთ კომპლექტსო. ჩავიდა იური სოხუმში, დაიქირავა ბინა, დააწყო საქონელი, შემდეგ გამოიტანა გასაყიდად, მაგრამ აცალეს? ერთი კომპლექტის გაყიდვაც ძლიერ მოასწრო, ბოროტმა ადამიანებმა შესამად ამოადინეს.

— დაუმსახურებლად მოქცევიან, — გაიოცა მოსემ.

— განა მართო იურის. ვალერიან გოგოშვილსაც ასევე მოექცნენ. კაცმა სამუშაო მიატოვა, თბილისში ჩამოვიდა ლანჩხუთიდან, ბაზარზე 250 კილოგრამი შავი ბადრიჯანი იყიდა და სოფელში მიჰქონდა. ვისთვის, ხალხისთვის, რა თქმა უნდა. მაშ თვითონ რად უნდოდა ამდენი ბადრიჯანი. არ დაუჯერეს, დააკავეს, ჩამოართვეს. ბაირამოვ ამბარ ქარუმ ოღლი და ასლანოვ მირსახანიც ასევე კეთილშობილურად მოიქცნენ, თბილისელები უხორცოდ არ დარჩნენ, იფიქრეს და კიროვბადელ ჰუსეინ მამედოვს და მურზაფარ აბას კულიევს სთხოვეს, დაგვეხმარეთო. ორი ძროხა და ორი დეკეული თბილისში ჩამოიყვანეს, დაკლეს, ბაზარში გაიტანეს, მაგრამ გაყიდა არ აცალეს, დააკავეს და სორციც ჩამოართვეს. ბაირამოვ ნარიმან ალი ოღლისა და შახვერდოვ მუსეირ კიპა ოღლისაც იგივე დღე დააყენეს. მაგრამ, შენ გგონია, ეს კეთილშობილი ადამიანები გადაერყვიან ხალხისთვის ზრუნვას? არავითარ შემთხვევაში...

მართლაც დიდი და გამოჩენილი ადამიანები ყოფილან, — თქვა მოსემ და თავი დამარცხებულად სცნო.

გ. ნიკოლოზიშვილი

ნაბ. ღონისა



— ასე ძალიან გიყვართ ქაბაბი, ამდენს რომ ჭამთ?
— ექიმებმა ხორცის ჭამა ამიკრძალეს და შემწვარ პურზე გადავედი!



ქართული
წიგლითმწიკი

ამერიკაში ახალ წელს!

ნახ. გ. ფირცხალავასი



აბაღმინას

საქართველო ოდითგანვე
სახელოვან გვიზრდის მგოსნებს,
მაგრამ ახლა ვინ დაითვლის
ქვეყნად ცნობილ ფიზიკოსებს,
დიდ მეცნიერთ ვინც ასხენებს.
სიტყვას იტყვის დიდ ნიკოზიც, —
აჰა, თემა დიდებული
ეპიკოსებს, ლირიკოსებს.



მევენახეებს და მეჩაიეებს

ორმოცი წლის ნიანგი ვარ
და ქართველი მე ვერ ვნახე,
რომ არ იყოს მეჩაიე,
ქარხნის მუშა ან მებადე,
ღვინო რომ არ დამაძალონ —
ქარი ვერსად ვერ შევადე,
საქართველო ერთიანად
გადაიქცა მევენახედ.
შვიდწლედს როცა დავამთავრებთ,
ღვინის ჯღევები მერე ნახეთ,
მათი ნახვით დაითვრებით,
ახვავდება ჩაის მთები.



რუსთაველ მეფოლადაებს

ომებით გადატრუსულო,
დამწვარო მიწავ, ბოლავდი,
ახლა დვართქაფად გადმოღის
რუსთავის მტკიცე ფოლადი,
ქვანახშირს ქაჩავ, აბოლდებ,
როგორც ვეება ხომალდი,
შენ ლენინური პრემიით
მაგნიტკას გაუტოლადდი.

ელმაგალშენებლებს

ახლა თბილისურ ელმავლის
გუგუნი ყველგან გაისმის,
წელს მოგეხადოთ პირნათლად
ვალდებულება გაისის.



მხატვრებს

გილოცავთ მრავალ ახალ წელს,
თქვენ დაბელოცოთ ფუნჯები,
გადით მთა-ბარში და ხალხში,
მზის გულზე გაირუქენით,
ისეთი რამე დახატეთ,
ალაპარაკდნენ მუნჯებით.


კომპოზიტორებს

თქვენი სიმღერის სასმენად,
დაგვიცქვეთია ყურები,
ნიჭიერ კომპოზიტორებს
არ გეტქმით საუვედურები,
ისეთი რამეც დაწერეთ,
სმენად გადიქცნენ ყურები,
რომ იამაყოთ მუსიკით
და არა დამსაზურებით.



ფეხბურთელებს, ხელბურთელებს,
წყალბურთელებს

ხმელეთზე და წყალში ბურთი
ხტოდა როგორც ამფიბია,
წელს სპორტული გამარჯვების
კოშკი ბურთით აგვიგია,
თუმც ხანდისხან ხმელეთზედაც
და წყალშიაც წავგიგია.



გამომცემლობა „ნაპაღულს“

მოჩქევს, მოხტის, მოჩანჩქარებს
ჭრელ-ჭრელ ყდებში ჩაქარგული,
ახალ-ახალ გამოცემით
გაახარა ბავშვთა გული,
არაგვივით ანმაურდა
და მოდიდდა „ნაპაღული“.



დუშეთის რაიონის სოფელ ქუმლისციხეში ვინმე კაიშაურს ყავდა დედა ღორი...

სხენებულის დედა ღორი ერთგული სიყვარულით შეუღლდა ერთის ნახვით მოწონებულ კერატთან.

კერატი ნამდვილი ღორი გამოდგა, დაარღვია წმიდათა წმიდა საქორწინო კავშირი და მაკე მეუღლე ბედის ანაბარა მიატოვა.

ხუთ თვეში ერთი მეორეზე უკეთესი ცელქი გოჭები დაყარა ქმარსგაცილებულმა დედა ღორმა.

ორგული მეუღლისაგან მიტოვებულ ღორს ისევ ადამიანი შეეშველა.

კაიშაურმა ერთი გოჭი თავის ფასანაურელ სიძეს ნიკოლოზ იაგორის ძე ტრიპოლსკის არუქა — გაზარდო. მეორე ვლადიმერ გიორგის ძე ბურშივეს მიყიდა და მესამე დედა ღორს დაუტოვა: უსინდისო ტახის გამოსაჯაგრებლად, შენც მოგივლი და შენს შვილსაცო.

ასე და ამგვარად, სხვადასხვა ადგილას იზრდებოდნენ დათბლებული გოჭები და, რაკი იმ შემოსხენებულ უნამუსო ღორის შთამომავლები იყვნენ, არათუ არ ნახულობდნენ ერთი მეორეს, წერილებსაც არა წერდნენ, არც ტელეფონით. ეღრუტუნებოდნენ და არც დეპეშებით ამცნობდნენ თავიანთ ავ-კარგს.

იზრდებოდნენ გოჭები და, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ღორდებოდნენ.

ჰოდა, მათი საბოლოო გადორებით ეს ამბავიც დასრულდებოდა, მაგრამ 1962 წლის 2 მარტს ტრიპოლსკის ოჯახში ჩასახლებული ტახი ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, გერაგინ გაიგო.

ტრიპოლსკის დაკარგული ტახი ჯერ კიდევ გამოგლოვილი არა ჰყავდა, რომ იგი მისივე მეზობლის ირაკლი ალექსის ძე ბიბილაშვილის ეზოში აღმოაჩინა დაბმული.

ტრიპოლსკიმ თქვა ტახი ჩემიანო, ბიბილაშვილმა — ჩემიო, გასული წლის 25 დეკემბერს დაუკითხავად დაიკარგა საღორიდან და ახლა თავისი ფეხით დამიბრუნდაო.

ამგვარად, ჩვეულებრივი ღორი, მისდა უნებურად, სადავო ღორად გადაიქცა.

იჩივლა ტრიპოლსკიმ დუშეთის სახალხო სასამართლოში, ჩემი კანონიერი ღორი კანონიერად დამიბრუნეთო. ტრიპოლსკიმ ხუთი მოწმე თუ მოიყვანა, ბიბილაშვილმაც ხუთი მოწმე მოიყვანა, ერთმა ხუთმა ერთის სასარგებლოდ რაც თქვა, მეორე ხუთმა მეორის სასარგებლოდ იგივე თქვა.

ჩვენებების ტოლფასოვანი ღირებულების გამო საქმე ძიებით მოისპო.

სადავო ღორი მიანიც სადავოდ დარჩა.

არ გაჩუმდა ტრიპოლსკი, დამიბრუნეთ ჩემი ღორი, თორემ „გუბერნატორამდე ჩემი ფეხით ვივლიო“ და საქმე ისევ განახლდა.

სასამართლომ ახლა საქმეში მეცნიერება ჩარია და გადორების გზაზე დამდგარ სამივე და-ძმა გოჭთან ექსპერტი — ვეტექიმი გაგზავნა. ექსპერტმა ახედ-დახედა გადორებულ გოჭებს, გამოცდილი თვალთი მონუსხა მათი დრუნჩების მოყვანილობა, დაადგინა მათი ასაკის თანატოლობა (სხვათა შორის, დედალი გოჭის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მას თავისი ხნოვანება სულაც არ დაუმალავს!) და დაასკვნა:

„შემოთ მოსენიებულ ოჯახებში მყოფი ღორები (თითო ოჯახში თითო სული) სამივე ღორი არის საქონე მიმართულების, ერთი ჯიშის, ერთი და იგივე ხნოვანებით — 8-9 თვის, გარეგანი დათვლიერებით ღორები თავის ქალისა და ცხვირის მოყვანილობით გვანან ერთი მეორეს.

რაც შეეხება საკითხს, სამივე ღორი არიან თუ არა ერთი დედა ღორის შვილები, ამის დადგენა მეცნიერულად შეუძლებელია. შეიძლება ერთი ჯიშის დედა ღორებს ყავდეთ მრავალი გოჭები, მაგრამ, კონკრეტულად, რომელი გოჭი რომელი დედა ღორისაა, ამის დადგენა შეუძლებელია.

1962 წ. 3 ივნისი“.

სამართლიანად განსაჯა სამართალი სასამართლომ, კანონიერად ცნო ტრიპოლსკის სარჩელი და კანონის ძალით კანონიერად დაუბრუნა საკუთარი ღორი.

1962 წლის 24 აგვისტოს ბიბილაშვილს ჩამოერთვა მოპარული ღორი და ჩაბარდა ნამდვილ პატრონს.

ტრიპოლსკიმ ხელწერილი დადო, ღორი ჩამბარდა და სადავო ამიერიდან არაფერი მაქვსო, მაგრამ...

იმავე საღამოს იქუხა ფასანაურის მოწმენდილ ცაზე:

ირაკლის დამ რუსიკო ბიბილაშვილმა და მეუღლემ ლიზა შარმაიძემ გეფხის ნახტომები გააკეთეს და ახლა უკვე ყაჩადურად და არა ქურდულად გამოითაცეს შინდაბრუნებით გახარებული გადორებული გოჭი.

ისევ დაიწყო საჩივრები, მიმართვები, აღმასრულებელთა აღმა-დაღმა ხეტიალი, მაგრამ საქმეს საშველი არ დაადგა, ვერ იქნა და ვერ დაიბრუნა ტრიპოლსკიმ საკუთარი ღორი, ვერ იქნა და ვერ გამოსტაცეს ბიბილაშვილს მოპარული საქონელი და ამა-სობაში...

სადავო გოჭი დავაჟკაცდა, წელში გასწორდა, ერთის სიტყვით, გადორდა ანუ ღორად იქცა, გოჭის დამკარგავი ღორის დამკარგავად გადაკეთდა, ხოლო მისი გოჭიპარია მეზობელი ღორიპარია მეზობლად.

საკითხავია, სასამართლოს ღვაწლმოსილ აღმასრულებელს ვინ გაუმასპინძლდება ახალ წელს გადორებული გოჭის თავით!

ჩოლა

თაღლითის ადსარება

კოლმეურნე სიტყვით მერყეობს საქმით ვიყავ თაღლითი...

შრომადღებებს ვალატობდი, ცხვირს ვიწვედი მაღლადაო, ბრიგადირის: „—მინდვრად გამო!“ —

მესობოდა დაღადაო, უთენია ვფუსფუსებდი ჩემსა ვენახ-ბაღადაო,

ბაზრობათა ფარდულეები გავიხადე დახლადაო,

ვჩარჩობდი და ვთაღლითობდი, — ათახები დახვავდაო,

ეწო-კარი დავიმშვენიე, სრა დავიდგი სახლადაო.

უცებ რისხვა მომევიღნა: აგანგაშდა ზავლადაო,

თავმჯდომარემ ჩემს შესახებ კრებას „ჩაუდაკლადაო“,

გამთათხეს და გამოთათხეს, არ ჩამაგდეს ძაღლადაო,

თემსოფლიდან გამაძევეს დავიდვარე ნადვლადაო,

მომანატრეს ჩემი სოფლის ძირს მიწა და მაღლა ცაო.

თაღლითური თრევის მერე, შრომას ვიწყებ ახლადაო, იქნებ ისევ შემოვბრუნდე თავის მამისახლადაო.

3. არაგვინი

ნახ. ნ. მაღალაონაიხი



ერთგულების გამოცდა, ანუ პედანტი პაემანზე.

ამბობენ, საყვარული თავისთავად მოდისო. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ, მე აქვს 36 წლის კაცი ვხდები და საყვარული ჯერაც არ ვიცი რა არის. იმდენ მაინც არ გვარგავ.

ერთ დღით გვიან გამოვდივარ. საჩქაროდ ჩავიცვი და სამსახურისაკენ გავსწიე. გზაზე, ტროლეიბუსის მძღოლსაც ვაჩქარებდი. 15 წუთი მაინც დავაგვიანე. ჩქარი ნაბიჯით შევედი სამდივნო ოთახში და პირდაპირ მაგიდას მივაშურე, მაგრამ გამოცხადების საადრისვეო ჟურნალი მაგიდაზე აღარ დამსვდა. დეიდა ნინო, ჟურნალი უკვე შეინ... ასე, უნდა მეთქვა, რომ საბჭოდ მანქანასთან დეიდა ნინოს მაგიერ, გამოუცნობი ფერისთიანი, ტანწერწეტა, გაშლილკაბიანი გოგო იდგა. კარადა გამოაღო, ჟურნალი გამოიღო და მომიტანა: „ინებეთ, მხოლოდ იცოდეთ, რომ სამსახურში თავის დროზე უნდა მოხვიდეთ“.

ცოტა არ იყოს, გულიც კი მომივიდა. ვიფიქრე, ვინაა აი თითის სიგრძე ბალანა ჭკუას რომ მასწავლის-მეთქი. გაბრაზებულმა დავუბრუნე ჟურნალი. გამომართვა და ისე გამიღიმა, რომ გულის მოსვლა კი არა, თავიც კი დამავიწყდა.

ამის შემდეგ სამსახურში თავის დროზე კი არა, ყველაზე ადრე მივაღ, დიან, მივაღ, რომ მეორე ოთახიდან საბჭო მანქანა მე გამოვტანო და შენ მადლობის მაგიერ ვგრე გამიღიმა, როგორც ახლა.

სამუშაო ოთახში შევედი და ფიქრებს მივეცი თავი. არა, მაინც როგორ გამიღიმა, რალაც სულ სხვანაირი ღიმილი იყო. იქნებ? ჰო, რა სისულელეა ასე უცებ როგორ უნდა შევყვარებოდი. არა, ისე, კაცმა რომ თქვას, რით ვარ ურიგო ბიჭი, სახელი მაკლია თუ გვარიშვილობა...

ის დღე ფიქრებში გავატარე. მეორე დღეს სამსახურში ადრე მივედი, მაგრამ ოთახში რომ შევედი, საბჭო მანქანაც იქ იყო და ჩემი სათაყვანებელი მემანქანეც. ისღა დამჩვენოდა მივსალმებოდი.

გადიოდნენ დღეები და მეც გავიგე რა ყოფილა საყვარული. მოვუხშირე მის ოთახში სიარულს, გაღიმებული თვალებით ცქერას, მაგრამ შენც არ მომიკვდებ, ის სულაც არ მიყურებდა. რა არ ვიღონე, მაგრამ მისი ყურადღება გერაფრით ვერ მივიტყვი. იმედი გადამიწყდა, გულს კი მაინც არ ვიტყვდი. როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო. ვიფიქრე: ისევ მკითხავი თუ მიშველის, თორემ ჩემი საქმე ცუდათა მეთქი.

აქეთ ვეცი, იქით ვეცი, დავიწყე ძებნა თუ ვინ სად იყოლა კარგი მკითხავი. ზოგმა გორში მიმასწავლა, ზოგმა — ავლაბარში, გრაკალში, ჭსანში. ერთმა კი ყოვლისშემძლე მკითხავი ხაშურში აღმომიჩინა. თანაც ცნობისმოყვარეობით ყველაფერი დაწვრილებით მომაცოლა თუ რა მინდოდა მკითხავთან. შენ ნუ გეშინია, მე დღესვე ჩავალ იქ და ყველაფერს ისე გააკეთებს, როგორც შენ გინდა. — დამაინებდა მან და თანაც საიდუმლოდ ჩამჩურჩულა: ჩემი ნათესავია და ზომიც, ყველაფერს ზუსტად გეტყვის.

მეორე დღეს უკვე ხაშურში ვიყავი. კითხვა-კითხვით მივაგენი ქალაქში ძლე მკითხავს. თავაზიანად მიმიღო. თითქოს დაბარებული ვყავდი, მაშინვე მეს შეუდგა. მარცხენა ხელისგული გამაშლევია და მოყვა გაუთავებელი ბაზისითაა მერე, როგორც იქნა, ხმა ამოიღო და მითხრა ყველაფერი ის, რაც მე ვიცოდი ჩემს თავზე.

შემდეგ მეორე ოთახში გავიდა. ერთი კამფეტი „ყარაყუმი“ გამოიტანა და გაღიმებულმა შემდეგი სიტყვებით გადმოცა: მიიღე, ბედი გქონია, ვისაც ამას შეატყვებ, ზუსტად ნი დღის შემდეგ შენი ცოლი გახდება. თუგინდ დასანასავად ეყავრებოდე. სიხარულისაგან კამფეტი კი არ გამოვართვი, ხელიდან გამოვსტაცე. ახალთახალი ათმანეთიანი ხელში ჩავუტენე და გამოვიტყეცი. მატარებელში გულმა აღარ მომიტანა, კამფეტი გავსენი და ქალადღზე შიგნიდან ნიშნისმოგებით დავაწერე: „აღარც ახლა შემოყვარებ?“ კამფეტი ისევ ღამაზად გავახვიე და ჯიბეში ჩავიდე...

ერთი კვირა ვატარე ჯიბით, ვერ იქნა და გადაცემა ვერ მოვახერხე. ამასობაში დეკემბერიც მიიწურა. ახალი წლის მეორე დღეს ბედმა გამიღიმა. ახალი წელი მივულოცე და ის ჩემი მხსნელი კამფეტი მივაწოდე. რომ არაფერი შემეტყობოდა, მაშინვე გამოვტრიალდი და ჩემ სამუშაო ოთახში შევედი.

აი გიდი, აბა როგორ გვეთვა, ჭინჭიმელ ასათიანმა რამე მოიწადინოს და ვერ შეასრულოს? ერთმა ჩემმა კოლეგამ კარები შემოაღო და თავისი როსროსა ხმით საამო ფიქრები გამიფანტა. ახალი წელი მომილოცა, კამფეტი მომიწოდა. არც შემინდვას, კამფეტი ჯიბეში ჩავიდე და სამაგიერო მეც მივეცი. ის გავიდა თუ არა, ახლა კარი დამლაგებელმა შემოაღო, მანაც ახალი წელი მანდარინით მომილოცა და თავის ერთადერთი კბილით ყურებამდე გამიღიმა. მეც ბედად შერჩენილი კამფეტი მივეცი და მადლობაც გადავუხადე. მან ბევრი აღარ დააყოვნა, კამფეტი იქვე გასხსნა და მადიანად შეექცა. დაჭმუჭნილი ქალადი საფერფლეზე დააგდო და წავიდა.

იმ დღეს სამუშაო ბევრი მქონდა. დრომ შეუმჩნევლად გაიარა, სამუშაო დღე დამთავრდა. ქალადღები ავალაგე, პაპიროსი ამოვიღე და მოვეუკიდე. ასანთის ღერი რომ საფერფლეზე დავაგდე, ჩემი ყურადღება კამფეტის ქალადღმა მიიპყრო. ავიღე და თვალს არ დავუჯერე: „აღარც ახლა შემოყვარებ?“ — ეწერა ქალადღზე. ნუთუ ესაა ჩემი ბედი, ნუთუ ნი დღის შემდეგ ჩვენი ხანა შესული დამლაგებლის ქმარი უნდა გავხდეთ?

მოუთმენლად ველოდი დათქმული დროის გასვლას. კიდევ კარგი, რომ ყველაფერი ტყუილი გამოდგა და არ გამართლდა მკითხავის სიტყვები. მოტყუებას და 10 მანეთს ვინდა ჩივის!

რ. ზერაძე



ნახ. ჯ. ლაშვილი

— ნახე, რამდენი წყალი და ცურვაა ახალ ფილმში?
— ფართოკრანიაანი სურათია, ბევრ წყალს იტევს და ადვილად ხომ ვერ გადასცურავს კაცი!

ნიანგის საჩუქრების გაღაგიღანე

საახალწლო ღმრთიანულთან დაკავშირებით „ნიანგის“ რედაქციამ საჩუქრები დაურიგა წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ზოგიერთ მუშაკს.

1. სარემონტო კანტორის და სამშენებლო ორგანიზაციების ზოგიერთ მუშაკს:

ნარიყალას კედლიდან მოტეხილი ქვიტკირის ნატეხი და ფსალმუნი — „შეგვინდე, მამაზეციერო, ცოდვანი ჩვენნი“.

2. ვაჭრობის მუშაკებს: ზუსტი სასწორი, მეტრი, ზრდილობის წიგნი და უსაფრთხო სამართებელი.

3. რესტორნებისა და სასადილოების მუშაკებს: ზუსტად შედგენილი მენიუ, ანგარიშის გამოსაწერი ქვითარი, პატეფონის ფირფიტაზე ჩაწერილი სევდიანი სიმღერა: „ტყავს მაძრობ და თან მიცინი“.

4. კონსერვის ქარხნის მუშაკებს: მათ მიერვე გამოშვებული სხვა რაიონში ნაყიდი კონსერვი და თბილისის ტერიტორიაზე განლაგებული მაღაზიების რუკა.

5. ღვინის სარეალიზაციო წერტის მუშაკებს: თავის ტკივილის წამალი და გაბერვის საწინააღმდეგო მედიკამენტები.

6. სასწრაფო დახმარებას: ნიშადურის სპირტი და პატეფონის ფირფიტები: „დაიგვიანეს, ჯერ არსად ჩანან“ და „ავადა ვარ, ავადა, მოდი სანახავადა“.

7. ავტობუსის კონდუქტორებს: ისეთი ბილეთები, რომლებსაც გასაყიდად გაიშვებენ.

8. ფეხსაცმლის ფაბრიკების მუშაკებს: მათ მიერვე გამოშვებული ფეხსაცმელი (ახია თქვენზე!).

9. დატარებითი ვაჭრობის მუშაკებს: სპეკულანტის სამახსოვრო წიგნი.

10. თეატრების მუშაკებს: პიესები „სიზმრად ვნახე, რომ თეატრი მაყურებლით გაგსილიყო“ და „ყველა ბილეთი გაყიდულია“.

11. მოდების ატელიჟთა მუშაკებს: ჯადოსნური სარკე, მრუდედ შეკერილს სწორად შეკერილად რომ აჩვენებს და პატეფონის ფირფიტა: „რა დაგიშავე, რისთვის დამჯღანე, ტურფაჲ!“



—სულადობა ძალზე მცირეა და რა ვუჩვენოთ ანგარიში?!
ბატონო, პირუტყვის გამრავლებაა ძნელი, თორემ გამრავლება შესანიშნავად ვიცი ქალაღზე!



რ ა მ ე ნ ა ლ ვ ლ ე ბ ა !

პროსპექტზე ორნი მიდიოდნენ. ერთ მათგანს ნაცნობი შე-
მოსვდა:

- ჩემს ძვირფას ძმას, კაცურ კაცს, ადამიანთა შორის ადამიანს გაუმარჯოს!
- გაგიმარჯოთ!
- კარგი ხარ, ძმავო, მე შენ ქებაში ამომდის სული.
- მადლობელი ვარ, ნახვამდის.
- კარგად ბრძანდებოდეთ, ჩემო ბატონო, იცოცხლეთ ათას წელს!
- კარგი კაცი ჩანს, ეს შენი მეგობარი, — უთხრა მეორემ.
- კარგი კი არა, წამხდარია, ჯიბიერი და გადაგვარებული.
- აბა, რაღას აღიდებდი ამდენ ხანს?!
- რა მენადვლება, ქებაში ხომ არაფერს ვიხდი.

ბ. მებრალიოზილი.

საახალწლო ქარაგმული ნაქვესება

ახალმა წელმა შეაქო ძველი წელი: მარსისკენ გაჭრილხარ, შე ძველო.

მედვინემ საახალწლო ღვინოში შეაქარი მიუშვა: ასე ტკბილად დამიბერდითო.

საახალწლო ნაძვის ხემ თქვა: ჯერ მჭრიან და მერე თავს მეგლებიანო.

ახალი წლის წინა ღამით გაცნობილ ქალიშვილს ვაჟი დი-
ლით სიყვარულს ეფიცებოდა: ერთი წელია რაც მიყვარხართო.

ბ. შავპარჯაოზილი.

მდიდარია სოფელი ნორიო, ბაღ-ვენახებით აჭრელებულ-დამშენებული, ქოჩო-
რა ტყეებით დაფარულ მთებზეშე შეფენილი.

შეძლებულმა ცხოვრებამ და აყვავებულმა კულტურამ დაბეჯითებით მოთხოვა
ნორიოელებს: კულტურასაც თავისი კერა უნდა, თქვენი მუყაითობა და გარჯილობა ამ
საქმეშიაც გამოიჩინეთ, თუ მეტი არა, ვისზე ნაკლები თქვენა ხართ, რომ ერთი კე-
თილმოწყობილი და თვალგასახარი კულტურის სახლი არ აიგოთო.

ნორიოელებმა ყურად იღეს ეს სამართლიანი დადასისი და ჭაბუკურის ენერ-
გიითა და მონდომებით შეუდგნენ ამ სასიხარულო და სასიქადულო საქმის სასახე-
ლოდ განხორციელებას.

ეს მოხდა 1957 წელს.

დაპროექტდა სახლი და გადაწყდა სათანადო ორგანოებს სახლის მშენებლობი-
სათვის ძველი კურსით 1.300.000 მანეთი გაეღო.

კოლმეურნეობამ პირველი 63.679 მანეთი დადო და ამ პირველი თანხით დაი-
წყო მშენებლობა, ჩამოტანილი იქნა მოძმე სომხეთიდან ტუფი და ტუფს მოძმე სომე-
ხი ოსტატებიც ჩამოჰყვნენ.

მშენებლობის ტემპის დასაჩქარებლად ნორიოელმა ენთუზიასტებმა ქვისათლელი
მანქანაც შეიძინეს.

რაიონის კულტურის განყოფილებამ ნორიოელებს მოუწონა თაოსნობა, მაგრამ
მოითხოვა, თქვენი საქმე ჩემი საქმეცაა, მეც გამარევიანეთ შიგ ხელი, რასაც ხელს
არ შეგვიწყობთ, არაფერს არ წავიხდენთო და ისიც მხარში ამოუდგა კულტურას-
მოწყურებულ ნორიოელებს.

კულტურის განყოფილებამ ნამდვილი მწე და მეგობარი აღმოჩნდა, მან 1959
წელს 123.000 მანეთი გადაურიცხა მშენებლობას და საქმემ გიგანტური ნაბიჯებით
წაიწია წინ, მაგრამ მაინც ამაო გამოდგა ნორიოელთა სიხარული, მშენებლობა ერ-
თის მოსმით შეწყდა და წვიმათა და ქართა სათარეშოდ აქცია თითქმის პირამდე
ამოყვანილი კედლები, საფსი მოედო კედლებს, ხარაჩოებს, საშენ მასალას, და
გაიყინა საქმე.

აღლადდნენ ქვები, თუ სახლად არ გინდოდით, რას გვანგრევდით, რას მოგ-
ქონდით, რას გვთლიდით და რად გვყიდულობდითო. არაგის ესმის მათი ღალადი და
ეს მაშინ, როცა ნორიოელებს ადრე აშენებული კლუბი თავზე ენგრევათ.

სხვა არაფერი უჭირთ ნორიოელებს. ერთი კულტურის სახლი უნდათ და გამოი-
ჩინეთ ადამიანობა, დაუმთავრეთ ან დაამთავრებინეთ მისი მშენებლობა ამ ახალ
წელს.

მეგობარი

კოლონური იუმორი

— ჩვენ გადაწყვეტილი
ყოფილია გავაკეთოთ: მამამ
დაიფიცა, რომ ალარ დაღვეს
და არ მოსწევს. მე ალარ შე-
ვქამ ტუბილელს, შენ კი
რას იზამ. შეილო?

— მე არ წავალ სკოლაში!

ქმარი ცოლს:

— ჩემზე ბრაზობ?

— ჰო!

— რისთვის?

— არ მახსოვს რისთვის.
მაგრამ, ის კი ვიცი, რომ
არავითარ შემთხვევაში არ
შეგერივდები.

მეჯლისი

როდესაც თქვენთან ვცე-
კვავ. ცეკვა ძალიან მოკლე
მეჩვენება.

— აქ გასაკვირი არაფე-
რია. ღირსეული... ჩემი საქ-
მროა.

თარგმნა ვ. კარჩინსკიმ.

ინგლისური იუმორი

— ო, როგორ მიხარია,
როცა ძალიან წვიმს.

— ალბათ, ოპტიმისტი
ხარ, არა?

— არა, ქოლგების გამოი-
ღველი.

— თქვენ თქვით, რომ ის
ლამაზად მღერის?

— არა, მე ასე არ მით-
ქვამს.

— მაშ, რა თქვით?

— მე ვტყვი, ლამაზი მომ-
ღერაღია-მეთქი.

— რატომ მიყურებს
თქვენი ძალი, როცა ვჭამ?

— ალბათ იმიტომ, რომ
მისი თეფშიდან ჰამთ!..

თარგმნა ც. იოსავამ

ფრანგული იუმორი

სტუმრობა

ერთი პროვინციელი მე-
გობარს ესტუმრა პარიზში.
მეგობარი ჯერ კმაყოფილი
ყოფილი მისი სტუმრობით, მაგ-
რამ დრო გადიოდა და პრო-
ვინციელი წასვლაზე სულაც
არ ფიქრობდა. ბოლოს შე-
წუხებულმა მეგობარმა კით-
ხა:

— როგორ ფიქრობთ,
თქვენს მეუღლეს და ბავ-
შეებს უთქვენოდ არ მოეწე-
ყინებათ?

— მართალი ბრძანდებით,
ხვალვე მივწერ რომ ჩამოვი-
დნენ, — უპასუხა სტუმარმა.

დედა და ბავშვები

ორი ახალგაზრდა ვაჟი სე-
ირნობის დროს შეხვდა ორ
ვირთან ერთად მოსიერნე
დედაბერს.

— გამარჯობა, ვირების
დედა! — დაუყვირეს ახალ-
გაზრდებმა.

— გაგიმარჯოთ, შვილებო.
— უპასუხა დედაბერმა.

როცა კარგი ამინდია

— მიშა, როდესაც კარგი
ამინდია, რას ხედავთ ჩვენს
ხემათ?

— ცას, ღრუბლებს, მზეს.

— როცა ცუდი ამინდია?

— ქოლგას.

თარგმნა ი. ჩხიკვაძემ

გერმანული იუმორი

— ვინ ბრძანდებით?

— აბა გამოიცანით! — ხუმ-
რობის ხასიათზე დავდექი მე.

— კლაუს, ძვირფასო, რო-
გორ მოგაგონდი? დიდი ამ-
ბავი იქნებოდა ერთი წუთით
მაინც შემოგერბინა? — მო-
ისმა კარინის საყვედურებით
აღსაგეს ხმა.

— ახლაც მოვალ, — ჩა-
ვძახე ტელეფონს და მისკენ
გაცეცხლებული გავწურე.
„რის კლაუსი, რა კლაუსი!“
— ვფიქრობ ციფრულად დას-
ხმული, — „მაგას რა, ჩემი
სახელი დაავიწყდა?“ — და
გაჩქარებულად მივბიჯებ.

როცა კარინმა კარი გამო-
აღო, პირკატა ეცა.

— ეგ კლაუსი ვინდა? —
ძლიერ ამოვღერდე.

კარინმა, ეტყობა, ვეღარა-
ფერი მოიფიქრა და გულ-
ახლილად დაფქვა. როგორ
აღუთქვამს მისთვის ჩემს მე-
ზობელ კლაუსს ერთგული
სიყვარული.

— ერთგული სიყვარული!
შენ მერამდენე იქნები ნე-
ტავ?

— ასე რად ჰქირდავ შენს
ამხანაგს?

— არ გჯერა, ხომ? კარგი,

ახლაც დაგარწმუნებ! — შე-
ვძახე და მაშინვე დავურეკე
კლაუსს. როცა ყურმილი
აიღეს, ტელეფონთან კარი-
ნიც მივიწვიე.

— რომელი ხარ? — მო-
ისმა კლაუსის ხმა.

— აბა, გამოიცანით! — გა-
იმეორა კარინმა ჩემი ცდა.

— ო, ფრიდა! მთელ დღეს
შენზე ვფიქრობდი! როგორა
ხარ? ხვალ აუცილებლად გი-
ნახულვ, ჩემო...

გავუღისებულმა კარინმა
მეტი ვეღარ აიტანა და ყურ-
მილი ძირს დაახეთქა.

— ახლა რას იტყვი? —
ვკითხე ამაყად და ტელეფონ-
ის მომგონი გულში პირვე-
ლად დავლოცე.

— ეჰ, შენ ყველაზე კარ-
გი ბიჭი ყოფილხარ, — აღე-
რსიანად მითხრა კარინმა და
მკლავები ყელზე შემომამჭ-
ლო...

შინ ორი წუთის დაბრუნე-
ბული ვიყავი. რომ ტელე-
ფონი ახმანდა.

— ჰერმანი ვისმენთ: ვინ
ბრძანდებით?

— აბა, გამოიცანით! —
მოისმა ცუდლუტი ხმა.

— ო, კარინ, ჩემო კარგო,
რა კარგია, რომ ისევ შენ
გისმენ. ტუჩებზე ისევ
შენი კოცნის ნაკვალევს
ვგრძნობ...

— გაიძვერავ, თაღლითო!

— ჩაისისიან ქალის გაცო-
ფებულმა ხმამ და ყურმილი
გაცხარებით დაახეთქა.

ეს ხმა უკვე მეცნაურა, —
ეს ბერტა იყო.

თარგმნა ო. ხუციშვილმა

უნგრული იუმორი

უხეხავი მარსზე

დიდხანს მალეღვებდა სა-
კითხი, რომელსაც ასე თამა-
ზად აყენებენ ფანტასტიკუ-
რი რომანების ავტორები:
არსებობენ თუ არა მარსზე
გონიერი არსებანი?

საბედნიეროდ, კოსმოსუ-
რი ხომალდების წარმოება
ახლა ისეთ მაღალ დონეზე
დგას, რომ მე შევძელი მცო-
რე გაბარტიანი პერსონა-
ლური ხომალდის შეძენა.
შევკარი სამგზავროდ რამ-
დენიმე წიგნი, ჩანთაში საკ-
ვები ჩავილაგე და კოსმოსში

მოვუსვი: რამდენიმე თვეში
მარსს მივალწი, ხომალდი-
დან გამოვძვერი დიდ არხ-
თან, რომელიც ეკვატორის
გვერდით მდებარეობს. მა-
შინვე გავიცანი ხანში შესუ-
ლი კარგად აღზრდილი ინ-
ჟინერი.

ეს სტუბიქტი ძალიან და-
ინტერესდა თუ როგორ ვიმ-
გზავრე, გზაში ავარია ხომ
არ მომიხდა, ან მეტეორო-
ტულ წვიმაში ხომ არ მოვხ-
ვდი. მან რამდენიმე სხვა
უბრალო, შაბლონური თავა-
ზიანი კითხვა მომცა. ინჟი-
ნერმა გამაცნო ადგილობრი-
ვი პირობები, მითხრა, არ-
ხის მშენებლობა წარმატე-
ბით მიდისო. მე, საშუალება
მივეცი ელაპარაკა, თუმცა
სრულიად არ მაინტერესე-
ბდა არხები! უხერხული იყო
ჩემი ჩამოსვლის მიზანი ახ-
ლა მეტქვა. ძალიან ფრთხი-
ლად რამდენიმე შეკითხვა
მივეცი. შედეგი თავზარდამ-
ცემი იყო!

მარსელი ვერ გაერკვა იმა-
ში თუ № 48 ავტობუსი იშ-
ვიათად რად დადის.

ვერ მიხვდა ქიმიური წმე-
ნდის დროს ტანსაცმელი და
პერანგები ერთი მეორეში
რად ერევათ.

ისიც ვერ გაიგო, ერთი და
იგივე მალაზიას ხშირად რად
გადააკეთებენ ხოლმე.

ავრთვე გაუგვირდა: ჩვე-
ნი ცნობილი ფეხბურთელთა
გუნდი ზედიზედ რატომ მა-
რცხდება ხოლმე.

ვერ გაიგო, რატომ უხე-
შობენ ტრამვაიში, ავტობუს-
ში, ტროლეიბუსში და ქუ-
ჩაში.

ვერ გაიგო, აგრეთვე, რად
სჭირდებათ ქალებს ლურ-
სმანა-ქუსლები, კაცებს ყი-
ლენი და, საერთოდ, რა სა-
ჭიროა კონფერანსი.

მარსელმა სამშოლიანი
სოსნისფერი თვალი დამაჭ-
ყიტა. ცაცებაულვაშები შე-
არხია.

გულდაწყვეტილი გავშო-
რდი. ლაპარაკის შემდეგ
ასეთმა ნაღვლიანმა შედეგმა
იჩინა თავი: რომ, მარსზე არ
არსებობს გონიერი არსება!

თარგმნა თ. ჯავახიშვილმა

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი,
ნ. მაღალაშვილი, მ. ქარჩავა, თ. ჯელიძე.

საქ. კომიტეტის
გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нiangи“.
რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, ხაერთო განყოფილების—3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 14/XII-1962 წ. ქალ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა
რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 2374, შე 09321 ტირაჟი 40.000

რამდენი ავეჯის ფაბრიკაც არის, იმდენი საკუთარი პროექტი, საკუთარი ავეჯია. რალა უჭირთ ბიუროკრატებს — თვითელ მათგანს შეუძლია თავისი სტილი პქონდეს კაბინეტში!

...როგორც ხედავთ, თვითელი იმას აკეთებს, რაც მოეპრინება. თვითელი ფაბრიკა აპროექტებს ახალს და ხშირად იმიტომ კი არა, რომ ძველი ცუდია, არამედ იმიტომ, რომ კონსტრუქტორს უნდა უკვდავყოს თავი, თუნდაც საძაგელი, მაგრამ „თავისი“ სკამით ან კარადით!

(ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებიდან წოემბრის პლენუმზე)

